

შპს „დორანი-ფერმა“

ს/კ 424613154

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

შპს "დორანი ფერმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	01.01.2019	01.01.2018	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	432511	189063	
ფული და ფულის ეკვივალენტები	5834	18059	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	21734	18650	3,2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	227143	1297	3,3
მარაგი	91121	100676	3,4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	86679	50381	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	1599132	1525457	
ძირითადი საშუალებები	923024	873164	3,5
ბიოლოგიური აქტივები	672485	652293	3,6
არამატერიალური აქტივები	3623		3,7
სულ აქტივები:	2031643	1714520	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	497218	1546098	
სავაჭრო ვალდებულებები	100880	108869	3,8
მოკლევადიანი სესხები	361139	1430894	3,9
საგადასახადო ვალდებულებები	18615	6335	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16584		3,10
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1917070	545403	
გრძელვადიანი სესხები	1917070	545403	3,11
<i>სულ კაპიტალი:</i>	-382645	-376981	3,12
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-382645	-376981	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2031643	1714520	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი ფერმა"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	772281	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-769950	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2331	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	830206	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	832537	3,13
მიწოდების ხარჯები	-51	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-298031	3,14
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-450860	3,15
სულ საოპერაციო ხარჯები:	-748942	
ფინანსური შემოსავლები	122474	
დადებითი საკურსო სხვაობები	5309	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	578	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	128361	3,16
ფინანსური დანახარჯები	-169164	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-1418	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-46988	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-50	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-217620	3,17
მოგება დაბეგვრამდე:	-5664	3,18
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-5664	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-5664	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი ფერმა"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017-თვის	-376981	-376981
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები		
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები		
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	-5664	-5664
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-5664	-5664
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში		
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან		
განაწილებული დივიდენდები		
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		
ნაშთი 01.01.2019-თვის	-382645	-382645

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი ფერმა"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	767563
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-12274
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-838043
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-82754
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-139777
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-139777
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	1762678
სესხების დაფარვა	-1677062
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	122432
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	208048
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	2258
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-12225
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	18059
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	5834

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დორანი-ფერმა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 424613154, იურიდიული მისამართი - საქართველო, ახმეტა, ორბელიანის ქ., N8. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია შპს დორანი (ს.კ. 202245490).

1.3. კომპანიის დირექტორია მამუკა წილოსანი (პ.ნ. 01007004710).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მისგან მიღებული რძის რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული ლარებში	2858	427
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	49	6907
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	294	10396
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	2633	328
სულ:	5834	18059

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21734	18650
სულ:	21734	18650

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები, სულ - 6 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	227143	1297
სულ:	227143	1297

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 204 930 ლარის ოდენობით დაიხურა 2019 წლის თებერვალში განხორციელებული შესყიდვის ოპერაციით.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რქოსანი პირუტყვის მოვლისათვის საჭირო ხარჯვადი მარაგები	89585	100447
საწვავ-საცხები მასალები	1335	199
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	200	30
სულ:	91121	100676

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მატანი კოდი 11, კვ. 40, ნაკვ. #124	19200			19200			19200
დაუმთავრებელი მშენებლობა	15810	-20915		36725	-6100		42825
ექსპლუატაციაში არ შესული	16940			16940	16940		
შენობები	484704		21744	506449		21744	528193
ნაგებობები	221166	96086	7212	132292	86045	3897	50144
მანქანა- დანადგარები	45214		22133	67347	1376	22110	88082
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	11850	144	1571	13277		1559	14836
ელექტროგადამცემის საშუალებები	10198		1331	11529	7383	1192	5339
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	4056	2152	757	2662		310	2972
სამშენებლო მოწყობილობები	1583		250	1833		250	2083
ავეჯი	1377	1686	309				
ინვენტარი	3046	1795	674	1924		636	2560
მსუბუქი ავტომობილები	16181		5682	21863	21920	5682	5625
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	58759	43473	13436	28723		11987	40710
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	6164	1271	2242	7135	4140	1761	4757
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	6776	8806	7295	5265	4920	5453	5798
სულ:	923024	134498	84638	873164	136623	76583	813124

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 227 122 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 142 484 ლარი.

3.6. ბიოლოგიური აქტივები:

ბიოლოგიური აქტივი მოიცავს იმპორტირებულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და ასევე მათ ნამატს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია #1005599 (14.06.2018-15.06.2019)	3258	6516	3258	
წყლის მოპოვების ლიცენზია #10000186 (07.09.2018- 08.09.2043)	365	370	5	
სულ:	3623	6886	3263	0

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 3 263 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	100880	108317
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ		552
სულ:	100880	108869

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სესხი ლარში რეზიდენტი ბანკიდან	361139	
სესხი დოლარში რეზიდენტი ბანკიდან		1430894
სულ:	361139	1430894

3.10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	4310	
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	12274	
სულ:	16584	0

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სესხი ლარში რეზიდენტი ბანკისგან	891532	
სესხი ლარში ფიზ. პირებისგან	354780	214187
სესხი ევროში ფიზ. პირისგან	509474	276194
სესხი დოლარში ფიზ. პირისგან	161284	55021
სულ:	1917070	545403

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დაუფარავი ზარალი	382645	376981
სულ:	382645	376981

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა რძისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

3.14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	92263
საიჯარო ქირა	212
ელექტროენერგიის ხარჯები	10716
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	755
საკანცელარიო ხარჯები	170
კომპიუტერის ხარჯები	32
კომუნიკაციის ხარჯები	283
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	20767
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8136
საერთო დანიშნულების ძირით. საშუალებების ცვეთა	87901
საგადასახადო ხარჯები	10796
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	12981
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	4811
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომატქანებისა)	45097
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	3112
სულ:	298031

3.15. სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

საწარმოო დანიშნულების ხარჯები მოიცავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებისა და მედიკამენტების დანახარჯებს შესაბამისი ზედნადები ხარჯებით.

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	5309
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	122474
ვალების ჩამოწერით ან პატივით მიღებული შემოსავლები	578
სულ:	128361

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი შედგება აგროსესხის თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლისგან.

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები	169164
უარყოფითი საკურსო სხვაობები	46989
საბიუჯეტო ჯარიმები და საურავები	1418
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	50
სულ:	217620

3.18. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის ზარალმა 2018 წელს შეადგინა 5 664 ლარი.

3.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს "დორანი ფერმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: l GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	01.01.2019	01.01.2018	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	432511	189063	
ფული და ფულის ეკვივალენტები	5834	18059	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	21734	18650	3,2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	227143	1297	3,3
მარაგი	91121	100676	3,4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	86679	50381	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	1599132	1525457	
ძირითადი საშუალებები	923024	873164	3,5
ბიოლოგიური აქტივები	672485	652293	3,6
არამატერიალური აქტივები	3623		3,7
სულ აქტივები:	2031643	1714520	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	497218	1546098	
სავაჭრო ვალდებულებები	100880	108869	3,8
მოკლევადიანი სესხები	361139	1430894	3,9
საგადასახადო ვალდებულებები	18615	6335	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16584		3,10
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1917070	545403	
გრძელვადიანი სესხები	1917070	545403	3,11
<i>სულ კაპიტალი:</i>	-382645	-376981	3,12
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-382645	-376981	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2031643	1714520	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი *ქ. ნიქიძე*

მამუკა წილოსანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "დორანი ფერმა"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	772281	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-769950	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2331	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	830206	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	832537	3,13
მიწოდების ხარჯები	-51	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-298031	3,14
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-450860	3,15
სულ საოპერაციო ხარჯები:	-748942	
ფინანსური შემოსავლები	122474	
დადებითი საკურსო სხვაობები	5309	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	578	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	128361	3,16
ფინანსური დანახარჯები	-169164	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-1418	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-46988	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-50	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-217620	3,17
მოგება დაბეგვრამდე:	-5664	3,18
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-5664	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-5664	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

Handwritten signature

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "დორანი ფერმა"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017-თვის	-376981	-376981
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები		
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები		
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	-5664	-5664
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-5664	-5664
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში		
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან		
განაწილებული დივიდენდები		
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		
ნაშთი 01.01.2019-თვის	-382645	-382645

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

A. K. K.

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "დორანი ფერმა"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	767563
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-12274
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-838043
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-82754
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-139777
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-139777
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	1762678
სესხების დაფარვა	-1677062
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	122432
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	208048
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	2258
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-12225
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	18059
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	5834

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი *A. ნიკიფი*

მამუკა წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

